განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სასერთიფიკატო
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	მარინე გურგენიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ელ. ფოსტა: marine.gurgenidze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი)	***60 ECTS კრედიტი***
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საბაზო პროფესიული უნარების გამოცდა, რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდნენ ბსუ-ში, სრულყოფილად წარმოადგინეს დოკუმენტაცია და ჩააბარეს ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა. შ.), დღის ცენტრებსა და ანალოგიურ დაწესებულებებში სწავლების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობით, შრომის წიგნაკიდან ამონაწერით).
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პროფესიონალი სპეციალური მასწავლებლის მომზადება, რომელიც: ✓ ფლობს ცოდნას ინკლუზიური განათლების არსის, მისი ძირითადი პრინციპებისა და ფილოსოფიური საფუძვლების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების მეთოდების, სტრატეგიებისა და დახმარების ტექნოლოგიების შესახებ; ✓ ახდენს მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ადრეულ იდენტიფიცირებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს უქმნის შესაბამის სასწავლო გარემოს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში;

	✓ აცნობიერებს სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას, არსებული გამოწვევების ფონზე, სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის ჩართვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად, დარგის სიახლეების გათვალისწინებით პოულობს საუკეთესო გამოსავალს და აღწევს დასახულ საგანმანათლებლო მიზნებს.
სწავლის შედეგები	✓ განიხილავს ინკლუზიური განათლების არსს, მის ძირითად პრინციპებსა და ფილოსოფიურ საფუძვლებს; განსაზღვრავს და ასაბუთებს საგანმანათლებლო გარემოში ინკლუზიური განათლების პრინციპების პრაქტიკული გამოყენების საჭიროებებსა და მეთოდებს; ✓ ისგ-ს შემუშავების პროცესში განსაზღვრავს ესგ-ს ადაპტაცია/აკომოდაცია/მოდიფიკაციის შესაძლებლობას და აცნობიერებს სწავლა-სწავლების პროცესში პოზიტიური გარემოს მნიშვნელობას; ✓ იცნობს ბავშვის განვითარების კანონზომიერებებს და მის ხელშემწყობ ფაქტორებს; აღწერს განვითარების დარღვევებს, მის გამოვლინებებს, თავისებურებებს სწავლასწავლების პროცესში და ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს ინდივიდს სწავლასა და დამოუკიდებელ მოქმედებაში; ✓ განმარტავს და ასაბუთებს სასკოლო საზოგადოების (სკოლა, ოჯახი, თემი) მოლოდინების, დამოკიდებულებების, მხარდამჭერი ღონის¬ძიე-ბების გავლენას ინდივიდის აკადემიურ მიღწევასა და კეთილდღეობაზე; ✓ ამოიცნობს ინდივიდის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას მისი ქცევისა და სწავლის თავისებურებების ანალიზის საფუძველზე და უზრუნველყოფს შესაბამის სპეციალისტთან დროულ რეფერირებას შემდგომი შეფასებისა და მხარდაჭერისთვის; ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრებთან ერთად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასების საფუძველზე, ადგენს და ახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, მათ შორის უზრუნველყოფს სასწავლო გარემოში თანამონაწილეობისა და მიკუთვნებულობის ხელშეწყობას; ✓ მონაწილეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ტრანზიციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში; ✓ იყენებს სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით; ✓ ავლენს პროფესიული საქმიანობის ეთიკური პრინციპების ცოდნას, იყენებს მათ და პატივს სცემს მრავალფეროვნებას; ✓ მუშაობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის პრინციპების საფუძველზე; ✓ იყენებს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს გადაწყვეტილებების მიღებისა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას; ✓ რეგულარულად აფასებს საკუთარ პროფესიულ საჭიროებებს და გეგმავს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.